განკარგულება:**გ-49. 49251788**
თარიღი:**27/06/2025**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული ტრაქტორის (დამტვირთველით) და ამავე ტრაქტორთან თავსებადი 1 (ერთი) ერთეული საკომპოსტე მასალის შემრევის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 ივნისის №48-482517629 წერილი,რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს ,,აგრო მოტორსსა'' და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2025 წლის 20 მაისს გაფორმებული N118 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს ,,აგრო მოტორსის'' მიერ მოწოდებული იქნა ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული ტრაქტორი (დამტვირთველით) და ამავე ტრაქტორთან თავსებადი 1 (ერთი) ერთეული საკომპოსტე მასალის შემრევი. აღნიშნული ტექნიკური საშუალებები საკუთრებაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს''.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული ტრაქტორის (დამტვირთველით) და ამავე ტრაქტორთან თავსებადი 1 (ერთი) ერთეული საკომპოსტე მასალის შემრევის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი:ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი